სამშობლო

ხუთშაბათი
24 სექტემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი, ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 183 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 183

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

გადადებული 15 ივლისიდან, ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ომში მოკლულის **პოდპოლკოვნიკის**

ვლადიმერ ტარასის ძის ახვლედიანის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ლეჩხუმის მაზრაში სოფ. ნასპერს, ადგილობრივ ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები ტარასი გრიგოლის ძე და კესარია თომას ასული ახვლედიანები. 2—1—2049

ღრმად დამწუხრებული ჭირისუფალნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 26 სექტემბერს, ოზურგეთში, წმ. კვირიკეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ივანე ალექსის ძე ანდღულაძის

სულის მოსახსენებლათ.

ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 22 ეკენისთვეს გარდაიცვალა საზოგადოების ბუხგალტერი

ვლადიმერ მიხეილის ძე გოგოლაშვილი.

დაკრძალვა დანიშნულია პარასკევს, 25 ეკენისთვეს ს. საწულუკიძეოში. 2—1

ღრმათ დამწუხრებულნი მამა მიხეილ ივანეს ძე, დედა ეფუქსი დავითის ასული, მეუღლე მატილდა ქრისტიანის ასული, დები სონია კუპაიძისა და ფაცია ადამიასი, ძმები: ლენტორ და ისიდორე გოგოლაშვილები, სიძეები: დომენტი ოქროპირის ძე კუპაიძე და თეოფანე ბეგლარის ძე ადამია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ

ვლადიმერ (ლადიკო) მიხეილის ძის გოგოლაშვილსა.

დაკრძალვა მოხდება პარასკევს 25 ეკენისთვეს ს. საწულიკიძეოში. 2—1—

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გადაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ **სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით.** სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშვებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი უველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნასიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება
მისამართი: ბალასვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ექიმი **ზ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**
ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ბეგლა **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება შობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი „თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარეიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

ელეკტრო **„რადიუმი“** თეატრი
ხუთშაბათიდან, 24 სეკტემბრიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.
კაბე ეუბრნალი. მიმდინარე საქმეები.
სენსაცია! ნოდისკის!
ტაბორის ქალიშვილი, თავისუფლების ბავში.
მხატვრული დრამა 3 ნაწილათ. ცნობილი მსახიობი ქალის **ევა ტომსენის** მონაწ.
მხიარული კომედია **რძეები 200000 მანეთად.** ორ ნაწილათ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ჯერ არ დადგმული სურათი, განსაკუთრებით მოზრდილთათვის **ლეონ დრეი** **ქალების გულის დამოარჩილებელი**
ს. იუშკევიჩის მოთხრობიდან.

საეოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ღოღობერიძე.**

ქუთაისისს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე

პათივისცემით აცხადებს, რომ 27 სეკტემბერს ამა 1915 წელს, დილის 10 საათზედ, დანიშნული არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება

ამოსარჩევათ 8 ამომრჩევლების სახელმწიფო სათათბიროში და სხვა რამოდენიმე საეურადღებო კითხვების განსახილველათ. 6—3

იგეჭდება და ამ დღეებში გამოვა

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
სამსონ დათეშიძის ქართული დედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.

ქ. ქუთაისში **ექიმი** ქენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ქენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით
სნეულებს დილის 9—12 საათ. ს საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 22 ეკენ. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგის რაიონის ფრონტზე რამდენიმე შეტაკება იყო. დემენ-მადზიოლის ტბების ფრონტზე ბრძალა გრძელდება. სოფ. კოზიანის და რუსაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ავიღეთ სოფელი ვილინა. რუსაკის რაიონში სოფელ პოსტერნაკთან შტიკისთ ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ დასრულდა. სოფელი ჩვენ დავიკავეთ. სმორგონის რაიონში და როვნოს სამხრეთით ზემონემანზე სოფ. დეტიატ'ჩის რაიონში წვრილი შეტაკებები გრძელდება მტერთან, რომელიც ცდილობს აღმოსავლეთისკენ წამოწევას. პრიპიატის სამხრეთით, მდ. შუა სტირზე მომხდარ ბრძოლის შემდეგ, კოველსარნს რკინის გზის გასწვრივ ჩვენ დავიკავეთ სოფლები: ბულგაკოდუზიისკი, ოპოტოვო, ვოლჩეცკი და მედვეჟა. მტერი ალაგ-ალაგ უწესრიგოთ იხევდა.

კავკასიის ფრონტზე, ვანის რაიონს გარდა, სერიოზული შეტაკება არ მომხდარა. ოსმალები ბევრ ადგილას შეეცადენ ჩვენი საზღვრისაკენ წამოწევას, მაგრამ ყველა მათი ცდა იოლი წინააღმდეგობით შევაჩერეთ. უფრო გახურებული ბრძოლა იყო მოწინავე ნაწილებისა ზღვის ნაპირა და ოლთისის რაიონებში. მდ. ჭოროხისა და ოლთის შესართავთან, მაგალითად, ტორტუნის ტბიდან კოროსიანამდი, ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედობდენ. დუტახის რაიონში ეფრატზე ალაშკერტის აღმოსავლეთით და მელიაზგერტიდან სრდეშის რაიონში ვანის ტბის აღმოსავლეთ მიდამოებში საერთოდ სიწყნარეა. ქალაქ ვანის სამხრეთ დასავლეთით ჩვეენა ჯარმა დაამარცხა ოსმალები და განაგრძობს უკან დევნას მთების გზით ვანის ტბის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ. ბაშკალის რაიონში და ურმიაში მდგომარეობა უცვლელია.

რომი. 21 ეკენ. მთავარი ბინის ცნობა. ფრონტის რამდენსამე პუნკტზე საარტილერიო ბრძოლაა. მტრის არტილერიამ ბევრი ყუმბარა ესროლა რკინის გზის სადგურს კოგმონს, თუმცა არავათარი ზიანი არ მიუყენებია. ჩვენი არტილერია ყუმბარებს უშენდა მტრის საყარაულო კონცხებს და საბარგო კალონებს. დამოწმებული ფაქტია, რომ მტერი სროლის დროს ხმარობდა სულის შემხუთავ გაზიან ყუმბარებს, რომლისგანაც ჩვენი ჯარი მოხერხებულათ იფარავდა თავს სათვალეებითა და სხვა და სხვა საშუალებით. ქვემო იზონცოს რაიონში გამუდმებულმა წვიმებმა ხელი ვერ შეუშალა ჩვენი ჯარის აქტიურ მოქმედებას და ვერც შეაჩერა თხრილებზე მუშაობა.

ლონდონი. 21 ეკენ. ფრენჩი იტყობინება: გუშინ, დღის განმავლობაში მტერი გაძლიერებულათ უშენდა ყუმბარებს ჩვენს თხრილებს ხელში ჩასაგდებათ. იერიშები მეტად სასტიკი და ენერგიული იყო. მიუხედავათ ამისა, მტერმა ჩვენს თხრილებამდი ვერ მიაღწია და დიდი ზარალიც ნახა. ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მტერმა კვლავ დაიკავა ჰოჰვნცოლერთა რედუტის უდიდესი ნა-

წილი. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

შიტომირი. 21 ეკენ. გუშინ და დღეს გაიარა ვოლინსკის ფრონტიდან წამოყვანილმა ტყვეების პარტიამ. სულ იყო 11000 კაცი 18 წლისანი.

პარიზი. 21 ეკენ. ბარკი ეფათბირა რიბოს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბარკი მიიღო.

სტოკჰოლმი. 21 ეკენ. ნოვოგიორგიევსკიდან მოვიდა 59 სათნოების დაი. აქედან სათნოების დები პეტროგრადისკენ გაემგზავრენ. ნოვოგიორგიევსკში დარჩა კიდევ 13 რუსი მოწყალების და.

ბუქარესტი. 21 ეკენ. გაზეთი „უნივერსალ“-ი იტყობინება: 4 ბუქსირი, რომელიც ავსტრო-გერმანელებმა იყიდეს სულიხში, რუმინეთის მთავრობამ არ გაუშვა.

ვაშინგტონი. 21 ეკენ. შეერთებული შტატები კიცხვენ გერმანელების მოქმედებას „არაბიკის“ დალუპვის გამო. თუ ასეთი ფაქტი კიდევ განმეორდა, გერმანიას ჯეროვანი პასუხი მოეთხოვება საერთაშორისო უფლების დარღვევისათვის.

სოფია. 21 ეკენ. მინისტრ პრეზიდენტს რადოსლავოვს რუსეთის მისიის პირველმა მდივანმა საბლერმა რუსეთის ულტიმატუმი, ორშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე ჩააბარა.

სტოკჰოლმი. 21 ეკენ. ბერლინის გაზეთი „ლოკალანცეიგერი“ ქებით მოიხსენიებს ბოლგარლებს და აღნიშნავს ბოლგარლებისა და გერმანელებს შორის ეროვნულ ნათესავობას. გაზეთის სიტყვით, დღევანდელ მომენტში ერთად ერთი საშუალებაა, რომ ბალკანეთში მშვიდობიანობა არ დაირღვეს—ეს სერბიის მხრით შეიძლება მოხდეს, თუ უკეთუ იგი თავისი ნებით დაუთმობს ბულგარეთს საჭირო ტერიტორიასაო. ამ ჟამათ უკვე ძალაში შესული შეთანხმება ხელს შეუწყობს შუა ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიური ინტერესების გაძლიერება, განვითარება იქნება ერთათ ერთი უმთავრესი შედეგათანი საერთაშორისო ომისა. ბულგარეთი კი ამ საერთო ეკონომიური ინტერესების მიზნის მიღწევის საქმეში გახდება საჭირო შემაერთებელ რგოლათ.

სტოკჰოლმი. 21 ეკ. ვოლფის სააგენტო იტყობინება ზანზიბარიდან: გუშინ, ნაშუადღევს, არკონის ახლოს გერმანელების წყალქვეშა ნავებმა ნაღმები ესროლეს ბოტლანდიის გემს „სვიონია“-ს. გემი კუნძულ დიუგენგოს ახლოს ჩაიძირა. კაბანდა გადარჩა. ბერლინიდან იტყობინებიან: რუსეთის მიერ ბულგარეთისადმი დაყენებული ულტიმატუმის ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ბერლინში. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი მოულოდნელი იყო ბულგარეთისათვის და აშკარაა, რომ ბულგარეთი ახლა გერმანიის მხარეზე გადადგებაო.

რაც შეეხება საბერძნეთსა და რუმინეთს მათ წინააღმდეგ გერმანია და ბულგარეთი ყოველ შემთხვევისათვის მზათ არიან. გაზეთების აზრით, დიპლომატიური მოლაპარაკების შეწყვეტას უთუოთ ომი მოყვებაო.

ვაშინგტონი. 21 ეკენ. კონსტანტინეპოლში მყოფს ამერიკის ელჩს ტორგენტაუს დაეფალა გამოუცხადოს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთში ბოლო არ მოეღება სომხების ჟლეტას, ამერიკასა და ოსმალეთს შორის მეგობრული დამოკიდებულება შესწყდებაო.

პარიზი. 21 ეკენ. დღის ოფიც. ცნობა. არასის ჩრდილოეთით ჟივანშის ტყის მიმართულებით ჩვენი შეტევა გძელდება. ჩვენ დავიკავეთ 5 გზის ჯვარედინი, თითქმის განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს ზარბაზნების ცეცხლის საშუალებით კენევის რაიონში. შამპანში საარტილერიო ბრძოლაა, კავარენსკის ფერმის მიდამოებში. გუშინ საღამოთი მენიელის ჩრდილოეთით გერმანელების ორი კონტრიერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარათ ჩაიარა. ერთმა ჩვენმა საჰაერო ესკადრამ სადგურ საბლონს მეცში 40 მსხვილი კალიბრის ყუმბარა ესროლა. სხვა ფრინავები განაგრძობენ ყუმბარების დაშენას სადგურზე შესასვლელ გზებზე.

თბილისი. 22 ეკენ. ქალაქის გამგეობამ გადასდვა 150000 მანეთი ვარშავის პოლიტეხნიკუმის მოსაწყობათ, თუ პოლიტეხნიკუმი გადმოტანილი იქნა თბილისში.

პეტროგრადი. 22 ეკენ. დამატებითი ცნობა. ავტორიტეტულ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ 18 ეკენ. შავი ზღვის ფლოტი ენერგიულათ უშენდა ზარბაზნებს ქვანახშირის რაიონს და ზუნგულდაკში შენობებს. მტრის წყალქვეშა ნავი ბევრჯერ შეეცადა იერიშის მოტანას ჩვენს ხომალდებზე, მაგრამ ჩვენი ხომალდები იერიშს ერიდებოდენ და ისე განაგრძობდენ ზარბაზნების დაშენას ბოლომდი. წყალ ქვეშა ნავი უშედეგოთ ესროდა ნაღმებს ჩვენს ნაღმოსანს, რომელიც ხომალდებს იფარავდა სროლის დროს. ნაღმოსანი ნავს გამოეკიდა, მაგრამ ნავმა მოასწრო წყალში ჩაყურყუმალება. ზანგულდაკის სანაპირო ბატარეიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა ერთ-ერთ ჩვენს ხომალდს, მაგრამ ხომალდიდან მოხერხებულათ ნასროლმა ზალპმა ბატარეია მალე ჩაჩუმა.

ომის ამბები.

საერთო შეტევის შედეგი.

16 სექტემბრიდან საფრანგეთ-ინგლისის არტილერიამ კვლავ განაგრძო შეტევა გერმანელთა მეორე ხაზის სიმაგრეების წინააღმდეგ.

ფრანგების დანაკლისი და ზარალი, როგორც პირველი შეტევის შედეგი ანარქისტ-სოციალისტის, ერვეს ცნობით, შედარებით ზომიერია. მოკლულთა რიცხვი დაჭრილებთან შედარებით ჩვეულებრივზე ნაკლებია. მომეტებულ ნაწილათ მსუბუქათ არიან დაჭრილნი. ეს კი საფრანგეთის მშვენივრათ მოწყობილ არტილერიის მოხერხებულ მოქმედებას მიეწერება, რამაც მტრის სიმაგრეების პირველი ხაზი მტვრათ აქცია, მისი ზარბაზნები და პულემეტები ჩაჩუმა და მტრის ჯარის ფიზიკურათ წინააღმდეგობის ენერგია მეტათ შეასუსტა, არივ-დარია.

ინგლისელი სამხედრო კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თუმცა საერთო შეტევამ საგრძნობლათ შეარყია გერმანიის არმია საფრანგეთის ასპარეზზე, მაგრამ ამით გადამწყვეტი მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა. საქმე ისაა, გაუძლებენ თუ ვერა ნემცები შემდეგ საერთო შეტევას. უკვე პირველი შეტევით ფრონტის დიდ მანძილზე გარღვეულ და შეჭრილ ადგილებში.

ნემცები ახლა თავისუფალ ადგილებში ახალ საათადარიგო რაზმებს აყენებენ და მოკავშირეების მიწოლილ ძალებს სასტიკათ უმკლავდებიან.

გერმანული პრესა აღიარებს, რომ საფრანგეთ-ინგლისის შეერთებული არმიის შემოტევა და იერიშები მეტათ სასტიკი და დაუზოგველი იყოო, რის მეოხებით მათ სუენის ჩრდილო-დასავლეთით მხოლოთ ასი მეტრის მანძილზე წინ წავიდენ და ჩვენი სანგრები დაიკავესო.

მდგომარეობა ბულგარეთში.

როგორც ბუქარესტიდან გაზეთებს ატყობინებენ ბულგარეთში საერთო პოლიტიკური მდგომარეობა უარესდება: ავტორიტეტულ წრეებში ირწმუნებიან რომ მეფე ფერდინანდის პლანები ჩაიშლებაო. მემამულეთა პარტია მობილიზაციის წინააღმდეგ გაცხარებულ კამპანიას ეწევა.

ბულგარეთის მთავარ სარდალი.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის ტახტის მემკვიდრემ, ბორისმა უმაღლესი მთავარ სარდლობა იკისრა და ფილიპოპოლს გაემგზავრა, სადაც დაათვალიერებს ჯარებს.

ბულგარეთის მომქმედ ჯარების მთავარ სარდლათ და გენერალურ შტაბის უფროსათ დანიშნეს **ბოიადეევი.**

ვილნა დასწვეს.

როგორც ვილნიდან „გადმოხვეწილნი ამბობენ, ნემცების იქ შესვლის წინ რუსებმა ვილნას ცეცხლი წაუკიდეს. მხოლოთ მესამე დღეს ძლივს ჩააქრეს ცეცხლი თურმე ნემცებმა და აშნაირათ ქალაქი სრულ განადგურებას გადაარჩინეს. ვილნაში მცხოვრებ 250,000 კაციდან რუსის ჯარის გასვლის შემდეგ იქ მხოლოთ 12,000 დარჩა.

ქრონიკა.

რუსეთი.

17 სექტემბერს.

17 სეკტემბერს დაბრუნდენ ხელმწიფე იმპერატორის ბანაკიდან მინისტრები და იმ დღესვე სხდომა მოახდინეს.

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, ამ სხდომას სანუგეშო რამ არაფერი არ მოუცია. სხდომაზე გამოირკვა, რომ სათათბიროს ამ თვეში აღარ მოიწვევენ, მოსკოვის სიეზდების დელეგაციებს არ მიიღებენ და მთავრობის სფერაში „გამოცვლის“ მხრით არაფერი ახალი არ მოხდება.

მხოლოთ მინისტრთა სხდომამ აღიარა, რომ „საზოგადოების“ ახლანდელი სულიერი განწყობილება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, ამიტომ ის ღირსია მხარის დაჭერის და თანაგრძნობისა. „ყოველ შემთხვევაში მთავრობა თავის მოქმედებით მდგომარეობას არ უნდა ამწვავებდეს და „საზოგადოებას“ არ უნდა აღიზიანებდესო“. მაგრამ მინისტრებმა ისიც თქვეს, რომ „საზოგადოებისადმი“ ეს თანაგრძნობა და მხარის დაჭერა იმდენათ უნდა განსახიერდეს, რამდენათაც იგი რაიმე ძირითად რეფორმის მოთხოვნას არ უკავშირდება და ეს იმიტომ, რომ ერთი რეფორმისთვის ახლა დრო არაა და არც ადგილი აქვს. ისე კი კერძო საჭიროებას და „საზოგადოების“ ზოგ კერძოობითი ხასიათის სურვილს მთავრობა დააკმაყოფილებს, მაგალითად, რელიგიოზურ ნიადაგზე გასამართლებულ და დასჯილ პირების ამნისტიას გამოაცხადებს და ამით იგი დაამტკიცებს, რომ „საზოგადოების“ ხმას უყურადღებოთ არ დასტოებს“.

მინისტრთა სხდომაზე უმთავრესათ სჯაბაასი ჰქონდათ ბულგარეთის ახლანდელი გამოსვლის შესახებ და რაც დაადგინეს, მკითხველთ გუშინდელმა საგენტოს დეპეშამ აუწყა.

ზოგ წრეებში კი ხმა გავრცელდა, თითქო სათათბიროს მოწვევა 20 ოკტომბრისთვის გადაეწყვიტოთ; და ამავე დროს თავრიდის სასახლეში დაჟინებით ამბობენ, რომ მთავრობის სფეროში არავითარი ცვლილება არ მოხდებაო.

საყოველთაო-განათლების საქმე.

სახალხო განათლების სამინისტროს დეპარტამენტმა ამ დღეებში დაასრულა ყველა იმ მასალის განხილვა, რაც რუსეთში საყოველთაო სწავლების შემოღების საქმეს შეეხება. ამ ჟამათ უკვე დამუშავებული მასალა გადაეცემა ამ მიზნით სამინისტროსთან დაარსებულ სამოსწავლო ბიუროს რომელიც საქმეს უახლოეს სხდომაზე შეუდგება. (რ. ვ.)

ფუშების სათათბიროს.

პეტროგრადში ამ ორი თუ სამი დღის წინათ შედგა თათბირი, რომელმაც მუშათა კომიტეტის დაარსების შესახებ მსჯელობა იქონია. თათბირში მონაწილეობა მიღეს: სახელ. სათათბიროს დეპუტატებმა ჩხეიძემ, სკობელევმა, ხაუსტოვმა, ცნობილმა ვექლმა ნ. სოკოლოვმა და მუშების წარმომადგენლებმა. წარმომადგენლები იყვნენ: ლითონზე მომუშავეთაგან, მბეჭდავებისაგან, და ბევრ სხვა პროფესიებისაგან.

თათბირმა გადაწყვიტა, რომ გადმოხვეწილთა დახმარების საქმე 4 მარტის წესების თანხმათ მოაწყოს; ამასთან მუშათა საავათმყოფო კასებს წინადადება მიეცეს, რომ ამ კითხვაზე მსჯელობა იქონიონ.

2) საზოგადოთ მუშებმა ყველა იმ დაწესებულებაში, რომელთა დანიშნულება „ვამოქცეულთა“ დახმარებაა მონაწილეობა მიიღონ.

3) და კერძოთ მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე შრომის ბირჟაშიაც.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ თათბირმა აირჩია კომიტეტი რომელშიაც შეკიდენ ყველა იქ დამსწრე დეპუტატები, მუშათა წარმომადგენლები და ზოგი გარეშე პირიც. (რ. ვ.)

ჩინეთელი მუშები.

შორეულ აღმოსავლეთიდან ერთი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტს ატყობინებს, რომ თუ საჭირო დარჩება, მას შეუძლია მოსკოვში გამოგზავნოს ლითონზე მომუშავე ჩინელი მუშები, რომელთა რიცხვი 1000 კაცს აღემატება და რომლებიც სამხედრო მასალის დამზადებაში დიდ სამსახურს გაგვიწევენ. (რ. ვ.)

„გადმოხვეწილთა“ გაძევება.

17 სექტემბერს მოსკოვში „გადმოხვეწილ“ პოლონელების კომიტეტების სიეზდმა ქ. კალუგიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „აქ მოვიდა მინისტრის ბრძანება,

სადღეისო.

ამ ზაფხულში გარემოებამ გამიყვანა ჩვეული ჩემი სოროდან, მომაცილა ქალაქს. კარგი ბუნების წიალი, წმინდა ჰაერი, ფოთოლთ შრიალი, ფრინველთ ჭიკჭიკი, ბაღში ნავარდი, ეს ყოველისფერი თითქოს გეუბნებიან შენ, ქალაქის ტუსაღს, რომ ეს ადგილები სარძოადგენენ თავისუფლების საძეუფოს და თითქოს ყოველი მცენარე, რომელსაც გონიერი თვალით შეხედავ, ნაწარმოებია დიდებული ღვთაებრივი მხატვარის. რა სილამაზე, როგორი სიმეტრია, ერთფერობა, ერთგვარობა!.. ყოველი ფერი ეს დიდებული ბუნების სიძ ევეხიერე გოცებს და ძასთან გარწმუნებს, რომ აოის ვ ღაც დიდებული მეაღე, რომელიც უხდა გახაგებდეს ამ დიდ ბაღს, რომ ეუხდები, რომ კოეისტები შუბლ არეცხილი ვიღაც მაწანწალა რჯულის ხალხია, აბა, რა უნდა თქვას კაცმა იძისთანა ადამიანებზე, რომელთაც აუ ძვერიათ თავი, დადიან ამ დიდებულ ბაღში, ნეტარებას ეძლევიან ამ სიძ ვენიერით, და თვით მეაბაღეს, ძლევა-მოსილ შემქნელს ამ დიდებულ საძყაროსას კი უარს ჰყოფენ!.. ჰე, ბეც ნამეტანი გამიტაცა ამ ბუნების შვენებამ, ჩემს დღეში ა მქონია ჩვეულებად საფილოსოფიო უბნებში სიარულისა და ეს კი რა მომივიდა?.. ეს არე-მარე, რომელმაც მე აგრე გამიტაცა და საოცნებო ფიქრებს ბურუსში გაცხვია, არის გურია, ვინ არ იცის გურია თუ რას წარმოადგენს? იმ მეაღეს, რომელზედაც ეს არის ახლა მქონდა ლაპარაკი, თითქოს აქ დაუბერტყია თავისი მადლიანი კალთა! რას არ ხედავ აქ? მთები, მთის კალთები, ტყე, ველი, მასთან ზღვა თავისი უსაზღვრო სივრცით, რომლითაც ღვთაება,—უზენაესი გეუბნება, ბუნების განუზომელ სტიქიურ სიდ ადეზე და შედარებით მასთან შენს არარაობაზე, მაგრამ რამდენად ეს ბუნების მშვენიერება გიტაცებს, იმოდენად გულს გიღრნის ის გარემოება, რომ ხედავ აქაური ხალხის სილარიბეს, უმეცრებას—დედას და დასაბამს მისი სიბეჩავისას. აქაური სოფელი არ ჩამოგავს სხვა ჩვენი კურთხეული საქართველოს კუთხის სოფელს, მაგალითად ზემო მხარში, ქვემო იმერეთში, აქ ხედავთ ლამაზ ეზოს, პატარა, მაგრამ კოხტათ წამოდგმულ შიგ სახლით, ეზოს მწვანე კოლინდარი ამშვენებს, ვენახი, ხეხილი და ყოველისფერი ეს კი იმის მოლაპირაკეა, რომ აქ ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც ასე თუ ისე უყვარს და შეჰხარის თავის მიჩემებულ კარ—მიდამოს და მასში ჰპოებს იქ ამ ქვეყნიურ კმაყოფილებას, უახლოვდება, ერთვის ბუნებას იქ კი, გურიაში, სულ სხვა სურათს ხედავთ, გეგონებათ მცხოვრებნი კი არა, დროებით დაბინაკებულან და ახლო მომავალში მიატოვებენ აქაურობას და სადმე გადაეხვეწებიანო ეზოში იშვიათად ნახავთ იმისთანა რამეს რომ გითხრას მოსიყვარულე ხელის ნამოქმედარი ვარო, არ არის ხეხილი, სავსეა ეკერებით, უნაყოფო ხეებით, როგორც თხმელის ხე, ტილიფი, შემორაგული ან არარის და თუ არის—ნახევრად, ერთი სიტყვით სრული უყურადღებობაა, თითქო ეს კუთხე მისი დროებითი სადგომია და არა ოჯახური მისი ბუდე. ხედავ ამას და ეკითხები შენს თავს: რისთვის არის ამისთანა განსხვავება ამ გურულების თავისი მოძმეთაგან? ხალხი ნიჭიერი, ენა მახვილი, გონება მკვირცხლი, თვით ლამაზი, ტანადი, მასთან მარდი და ყველა ამ ღირსებებთან თითქოს მას აკლია ის, რაც უნდა აგვირგვინებდეს სუყველას, ე. ი. ცხოვრების ხალისი. ყოველისფერს აქვს თავისი მიზეზი და ამისთანა მიზეზი აქაც არის. რომ მ-ვიხედოთ უკან, გავსჭვრიტოდ ჩვენგან განვლილი ისტორიული გზა, რას ვნახავთ? გურულებს არ ჰქონიათ დაწყნარებული, შესვენებული ცხოვრება, არა თუ დიდი ხნობით, ოცდაათი წლითაც; მუდამ თავს დასხმა, მუდამ აწიოკება თათრებისაგან, მათი კარმიდამო მუდამ დროებითი იყო, არც აშენებდენ სახლებს, თუ კი სადმე თავშესაფარს კი იშოვიდნენ, ცდილობდნენ ძმები არ გაყოფილიყვნენ, რომ მეტი ვაჟკაცი ყოფილიყო ოჯახში, გაჭირვების დროს დამცველი. რისაკვირველია, ამ აუტანელმა პირობებმა თავისი ბეჭედი დაადვა გურიას, დღეს ეპირებს გამოვიდეს საერთო კულტურის შარა გზაზე, მაგრამ კიდევ მთელი ტრადიციული რაღაც ებღაუჭება და არ უშვებს წინ, მით უფრო უჭირს ახალი გზის კურსი დაიკავოს, რომ მას ხელს უწყობენ ჩვენი მესვეურები რომ მთელი გზა არ მიატოვონ, დარჩნენ უმეცრებაში, ეს თუ ასე არ არის, რისთვის ამ სამინისტრო სკოლებთან არ ვხედავთ ჩვენ აგრონომულ განყოფილებას? ჩვენი ხალხი ხომ მიწის მომუშავეა, ხომ მიწაში ჰპოვებს თავისი ცხოვრების სახსარს; და ნუ თუ მისთვის მიწის დამუშავება, სხვა და სხვა სამეურნეო იარაღების გაცნობა, ახალი სამეურნეო კულტურის შეგნება და საზოგადო შეთვისება იმის, რაც მეცნიერებას გამოურკვევია და რის შემწეობითაც ხალხს ცხოვრება გაადვილებია, ჩვენი ხალხისთვის არის უსაჭიროესი საგანი! ამ დღევანდელ სკოლებში, სადაც თავშეყრილია სოფლის პატარა ბავშები, რას სწავლობენ? მე რომ მკითხო, დიდ არაფერს, ქართული ენა ხომ, არ გვეუბნებიან, რისთვის, მივიწყებულია და თუ ინიშნება საგნათ, ხოლოდ ფორმალურად, თვარა უმეტესად კი მაინ სწავლებლიც, რომ რისხვა არ ხვდეს წარჩინების მაგიერ, ცდილობს დედისნაცვალს აამოს და საკოდავ მშობგელ დედასაც ნაცარში, გამომცხვარი მჭადის კვერი გადაუგდოს; ისე რომ დედა ყოველთვის დაჩაგრული გამოდის. რუსულს იმოდენს ვერ იძენს ბავში ამ შკოლებში, რომ ცხოვრებაში მას გამოადგეს, და რჩება არა თუ უსარგებლო წევრად ოჯახისა, საზოგადოების და სახელმწიფოსი, არამედ აუტანელ მავნე ადამიანად, რადგან ძველი მამაპაპური, ტრადიციული ცხოვრებას ამ სკოლამ 5—6 წლის განმავლობაში მოაცილა, არ თოხნიდა, არ ბარავდა, მოცილდა ხარ-კამეჩს ცხენს, ძროხას, კვს და სახნისს, ვერ შეითვისა, ახალი ვერაფერი ცხოვრებისათვის და, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, არც სხვისთვის და არც თავისთვის გამოსადეგი აღარ შეიქნა, მაშინ, როდესაც მას რომ შესაფერი მომზადება მიეღო, შეისწავლიდა მიწას, პირობებს მის დამუშავებისას, ხარიც უკეთესი ეყოლებოდა, ძროხაც, სიმინდს და სხვა ნამუშავარს მისას განსხვავებული შეხედულობა ექნებოდა, რადგან გადამეტებული წვიმა და გვალვა ისე ვერ მოქმედებს მცოდნე პირისაგან დამუშავებულ ნიადაგზე, როგორც დღევანდელ ჩვენი კავით და მუშით დამუშავებულზე. ეს ყველასათვის ცხადია, ვისაც თვალი და გონება ოდნავ მაინც უჭირს. ბევრი დაწერილა, ბევრი იწერება, ბევრი თქმულა, და ითქმება, მაგრამ ჩვენი ცდა ამ მხრით რეზიფის ქვის ზიდვათ იქცა და ჩვენი ტანჯვის გამგონი არავინაა, თითქოს უდაბნოში ვცხოვრობთ და ჩვენი „კეთილის მოსურვენი“ ცხადათ, დღის სინათლეზე, გვიმტკიცებენ, რომ ორი და ორი ოცდა ათია, გადალახვენ უსირცხვილოთ, თუ კი რამე პედაგოგიური რწმენა და ჭეშმარიტება შეუძენია კაკობრიობა; რომ თავისი ფანატიური ჯიუტობა გაატარონ ჩვენს უმისოთაც დაბეჩავებული ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, სრულ თაღლითობას ვხედავთ ჩვენი მესვეურების ჩვენდამი მოქმედებაში, და თუ მართალია, რომ ღმერთი ყველას ისე აჯილდოებს, ვინც როგორ დაიმსახურა, ამ შემთხვევაში ჩვენს მესვეურებსაც მოეკითხება, ოდესმე პასუხი... ჰე, რა გვეთქმის, ძალა აღმართს ხნავს, ეს მცნება კარგათ გვაქვს ჩვენ ქართველებს შესწავლილი, გლახაა, ღმერთზე რომ მივაგდებთ საქმეს. მოლლა ყრუ ნასრედინი მომეგონდება ამ შემთხვევაში. მოლლას ვირი მოუკვდა, იქვე, ქუჩაზე, დაიჩოქა და მორთო ტირილი, რომ დაილუპა, დიდი სიმდიდრე დაკარგა, გამვლელ-გამოვლელნი შეჩერდნენ და შენიშნეს რომ ტყვილად იწუხებს თავს, ღმერთი შევა მისს მდგომარეობაში, მისცემს მას მეორე ვირს. მოლლამ გადახედა თავისი მომსამძიმრებს ცრემლიანი თვალებით და უთხრა: მე კარგათ ვიცნობ ჩემს ღმერთს, სანამ მე მას 15 მაინეთს არ მივცემ, ის ვირს მე არ მომცემსო. თუ გვინდა, რომ ჩვენ გამოვიდეთ ახალ გზაზე, შევიგნოთ ცხოვრების ახალი პირობები, ჩვენვე უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენვე ვიყოთ ჩვენი თავის ჭირისუფალი, ჩვენვე გამოვიჩინოთ თვით მოქმედების უნარი.

ეს რაც დავწერე, ეკუთვნის ჩემს გულის ტკივილს, გამოწვეულს ნახულით. სამწუხაროთ იმდენი მაქვს ნახული ჩვენს ცხოვრებაში, რომ მწუხარების ცრემლის ფარული გადავლილია და არც დავიწყებდი ამაზე წერას! რომ ერთ ფრად სასიამოვნო ამბავს ამ მწუხარების მორევში არ წავბორკებოდი. მოულოდნელად ვნახე ის, რასაც გატაცებული ფანტაზია, ოცნება ვერ წარმოიდგენდა, თუ შემიძლია ამ სიტყვებით გამოვთქვა ის, რაც გულმა იგრძნო იმ დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კალუგიდან 48 საათის განმავლობაში გაძევებულ უნდა იქმნან ყველა „გადმოხვეწილნი“ განუსაზღვრელათ თუ ვინ უნდა ჩაითვალოს „გადმოხვეწილათ“. პოლიციამ გადმოხვეწილთა ასეთ სიაში 8,000 კაცი უკვე ჩაწერა. ვინც ახლა მოდის, მას სიტყვიერათ უცხადებენ, რომ ქალაქიდან გავიდეს. მდგომარეობა კრიტიკული. დაუყონებლივ წარმომადგენელი გამოგზავნეთ. მოსკოვის პოლონელების საბჭომ გაგზავნა თავის წარმომადგენელი კალუგაში და დეპეშით პეტროგრადის ობივატელების ცენტრალურ კომიტეტს და აგრეთვე პოლონელთა ორგანიზაციებს სთხოვა, რომ ამ საგანზე შესაფერი ზომები მიიღონ, რომ „გადმოხვეწილთა“ კალუგიდან გაძევება შეაჩერონ. მით უფრო, რომ 8,000 კაციდან პოლონელი მხოლოთ 1,500, დანარჩენი რუსები არიან

(რ. ვ.)

მუშების განცხადება.

17 სექტემბერს მოსკოვის სავაჭროების მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობამ გრადონაჩალნიკს განუცხადა, რომ მას აზრათ აქვს 27 სექტემბრისთვის მიწვიოს მუშათა წამომადგენლების კრება, რომელმაც „გადმოხვეწილთა“ მდგომარეობა უნდა გამოარკვიოს, მით უმეტეს, რომ ომის მსხვერპლთა უმრავლესობა მუშათა კლასს ეკუთვნის. საზოგადო კრება უნდა გაიმართოს მზარეულთა პროფ. კავშირის სადგომში, სადაც მოსკოვის მუშათა პროფ კავშირების, განმანათლებელ საზოგადოებების და საავათმყოფო კარების წარმომადგენლები უნდა გამოცხადდენ და იქონიონ მსჯელობა შემდეგი პროგრამით: 1) მუშების და მოსამსახურეების ორგანიზაციების „გადმოხვეწილთა“ დახმარების საქმეში მონაწილეობა. 2) ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან მუშათა კომიტეტის შედგენა. 3) ამ კომიტეტის არჩევნები. ეს მუშების ისეთივე სათათბირო იქნება, როგორც სახელ. სათათბიროს დეპუტატების მეთაურობით პეტროგრადში უკვე დაუარსებიათ.

არეულობის მსხვერპლი.

14 სექტემბერს მოსკოვში მომხდარ არეულობის დროს დაჭრილი სტუდენტი ლაშკევიჩი 15 სექტემბერს გარდაიცვალა. მისი ცხედარი 21-ს დაასაფლავეს. მიცვალებულის კუბოს დიდი პროცესია გაყვა, მარტო სტუდენტობა მრავალათას კაცს შეადგენდა. იგალობეს „სიუკუნოთ იყვეს ხსენება შენი“ და მიცვალებულის კუბო სტუდენტობამ მრავალი გვირგვინით შეამკო.

ორი დღის ტყეში ხეტიალის შემდეგ თფილისის სამოსამართლო პალატის წევრთან ერთად საქმის შესახებ, ერთმა ჩეენთან მოსიარულე თავადმა, კარგმა ადგილობრივმა მემამულემ მიხაილ ნაკაშიძემ მოგვმართა თხოვნით საერთოთ, ჩავსულიყავით მისას ჩრდილი გვეჩრდილა და მისს კარ-მიდამოს გავცნობოდით. ჩვენც პატარა ყოყმანის შემდეგ, გამოწვეულის შიშით არ დაგვიანებოდა რკინის გზის სადგურზე, დავთანხმდით, გავიარეთ სამი-ოთხი ვერსი და მივახწიეთ მისი ეზოს ჭიშკარს, შევედით თუ არა ეზოში ჩემს თვალებს „არე—მარე“ ესხვაფერა, ფორიოქდის ტყე და სხვა უცხო მცენარენი წმინდათ და კოხტათ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით, უბრალო ხის სახლი, უბრალოთ, მაგრამ იშვიათი სიწმინდით და სადათ მორთული ეუბნებოდნენ, მნახველს ვინ უნდა ყოფილიყვნენ აქაური მასპინძლები. შემდეგ, როდესაც პატივცემულმა მასპინძელმა გვიჩვენა თავისი ბაღი-ვენახი, ხეხილი, მანდარინის მთელი ტყე, ამასთანავე ტყე ლიმონის და თავი და თავი, ეს ის, რასაც სრულიადაც არ მოველოდით, ჩაის ბუჩქების პლანტაცია, მაშინ კი „გულს იმედი დამესახა“ და ვსთქვი გულში, რომ ჩვენში ბევრი ნაპერწკალია, მაგრამ გამლვიებელი გვაკლია, არვინ არის, რჩება ეს ნაპერწკლები ნაცარში და არის, არავისთვის არ ანათებს. რა გვიპირდა, რომ ამისანა ნაპერწკლები, როგორიც დიდათ პატივსაცემი მიხაილ ნაკაშიძეა, უბვათ გვყოფდეს ჩვენს ბეჩავ საქართველოში, მალე დიდ ცეცხლად იქცეოდა და გაანათებდა მიდამოს.

მაგრამ ამას კიდევ დრო უნდა. მისი ვენახი რომ ვნახე, გამაოცა თითქმის საუკუნოვანი სიმაღლის „რეშოტკამ“, რომლითაც ის შერაგული და კ-დევაც ვკითხე, რისთვის გაუკეთებია ამისთანა მაღალი, მან მწუხარე კილოთი „მიპასუხა, რომ ეს „ბარრიკადა“, არ მშველის ჩემი „მეგობრებიდანაო“, თუმცა გამოცხადებული მაქვს რომ ჭიშკრიდან შემოვიდნენ მსურველნი, წაიღონ ნერგი, ვაზი და ყოველთვის მზათ ვარ შევეწიო ღლის სინათლით, მაგრამ ისინი მაინც ამჯობინებენ გადმოვიდნენ რეშოტკაზე, ამოიღონ დაუკითხავათ ეს თუ ის ნერგი და ღამით ქურდულად გადიტანონო. თავად მიშას, ვერ გაუგია რა მიზეზია და ჩემთვის კი ცხადია: ეხამუშებათ რომ ისიც მათსავით გულზე ხელდაკრეფილი არ შეჰყურებს ცას, ეს არის გამოწვეული უმეცრებისაგან, თვარა რა უჭირსთ საცოდავთ ისარგებლონ, ეს მათთვის დადებული შკოლაა. ბევრს ხარჯავს „მიწათმოქმედების მთავარ-გამგეობა თავის აგენტებზე, ცდილობს გაავრცელოს აგრონომიური ცოდნა ხალხში, მაგრამ არის რამე შედარება მიშა ნაკაშიძის მოღვაწეობის და იმ აგენტების შორის? არც შეიძლება შედარება, აქ გული და სულია ჩადებული, იქ კი არაფერი, განა შეიძლება იმისანა ცოცხალი საქმე, როგორც მებაღეობა არის და კანცელიარული მოქცევა მასთან? არა და არა. ამისანა ენერგიის კაცს, რომ ხაზინა მისცემდეს შემწეობას, „სუბსიდიას“ და ისარგებლებდეს მისი გატაცებული ენერგიით და საქმისადმი სიყვარულით, პატარა სარგებლობას არ მოუტანს საზოგადო საქმეს და საზოგადოებას. ეხლა კი თავადი თავისი ხარჯით არა თუ სამაგალითო კულტურას ავრცელებს, უმეცრებასთან ომი აქვს გამოცხადებული და ბარიკადებით თავს და თავს ნამუშევარს იცავს!

თავადი მიხაილ ნაკაშიძე და მისი მეუღლე შვილებით იშვიათი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებაში, ახალი, მომავალი ხალხია. ჩვენს ცხოვრებაში სწორედ იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს მათი საქმიანობა, ხუმრობა კი არ არის იმ მთა ადგილების გაწმენდა, როგორსაც სოფ. ზედუბანი წარმოადგენს, შემდეგ მიწის გადაბრუნება (პლანტაჟი) ოცი დესეტინამდი და შექმნა იმის, რაც ჩვენ ვნახეთ.

მაგრამ თავი და თავი მისი გმირობა გამოიხატება იმაში, თუ როგორი დიდსულოვანი მოთმინებით ეომება ტრადიციულ ადგილობრივ სიზარმაცეს, უმეცრებას; არ იზოგავს თავს, რომ კულტურა დაამყაროს და მით დაუმტკიცოს მისს თანამოძმეთ, თუ რა შეუძლია ხალისიანი შრომას ჩვენს ქვეყანაში. ვისაც ყური სმენათ აქვს და თვალი მხედველი, გაიგონონ, ნახონ და შეიგნონ.

ჩვენ ყველას თითო ორ-ორი გირვანქა ჩაი თავაზიანათ მოგვაწოდეს, მშვენიერი ჩაი არის; თავადი დღეს 6—7 ათასი მანეთის ჩაის ყიდის წელიწადში, მომავალში მე ორი ამოდენასაც მოელის და მეტსაც, დიდ შემოსავლიანია სხვა კულტურაც: ლიმონი, ფორთოქალი, მანდარინი, რომელნიც ზამთარ—ზაფხულ გარეთ სერზე არის.

საღამოს, კარგი სადილის შემდეგ, ნახულით ნასიამოვნები, დავეშვით სოფ. ზედუბნიდან ნატანების სადგურისაკენ ჩვენი ჯაგლაგა როსინანტების მეოხებით. რამოდენათ მე პირადათ ნანახით ნასიამოვნები ვიყავი, იმოდენათ ღრმა ტანჯვას განვიცდიდი ჩემს ჯაგლაგა ცხენზე მჯდომი და უნებლიეთ გავიფიქრე და გულში ვთქვი, თუ ჯოჯოხეთი ნამდვილ სულეევს და არა მხოლოდ ბერების წარმოდგენას შეუქმნია, და თუ იმ ჯოჯოხეთში „პროგონის ცხენებიც არის, ჩემი ცხენი უსათუოთ იქ საჭირო იქნებათქო და ვინმეს იმ ქვეყნიერად წამებულს შეხვდება მასზე ჯდომათქო.

სერგ. ბ—ტაძე.

ДИДИ МТАВАРИ ДА ХАРТУЛИ ПРЕССА.

ХУТАИСИ, 24 ДЕКЕМБРИСТВЕ.

დღევანდელ ჩვენ გაზეთში იბეჭდება ანგარიში, დ. ყვირილაში მომხდარ, შორაპნის მაზრის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელთა ყრილობისა. ასეთივე ყრილობები მოხდა კახეთში, ქ. გორში, ზუგდიდში, სენაკში და განზრახულია ქუთაისის მაზრაშიც. ყველა ამ ყრილობათა მიზანი და ამ ყრილობებზედ ნალაპარაკევის შინაარსი ერთნაირია. მოიყარეს თავი იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, რომელთაც ზედ მიწევნით იციან სოფლის ახლანდელი გარემოება და რომლებიც სათავეში უდგანან სესხისა და დახმარების საქმეს, ქართულ სოფელში და ერთხმად განაცხადეს: საქართველოს, მის ყოველ კუთხეს ახლო მომავალში ელის სიმშილი და ამ სიმშილით სიკვდილი. ეს უკვე გაზეთის სიტყვებით არ არის, რომელსაც ჩვენში ბევრი უნდოთ ეპყრობა. ეს არის ხმა იმ პირთა რომლებიც შიგ სოფლის შუა გულიდან არიან გამოსულნი და იმ დაწესებულებათა, რომლებიც სწორედ ამ გაჭირების ნიადაგზედ აღმოცენდნენ. ამიტომ მათ ხმას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა მან, ვისკენაც ეს ხმა არის მიმართული. ყველა ამ ყრილობებმა ერთი და იგივე დადგენილება გამოიტანეს. ეს დადგენილება შეეხება დახმარებას. საჭიროა დიდი დახმარება, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფო შესძლებს. ამ რიგათ თვით ცხოვრებამ წამოაყენა ისეთი საკითხი, რომელსაც უნდა გასცეს პასუხი კავკასიის ახალმა მთავრობამ. საჭიროა სახელმწიფო დაეხმაროს ხალხს, რომ ამ ხალხს კიდევ ჰქონდეს შეძლება, იმავ გულით და ხალისით აწარმოვოს დიდი საქმე ომისა და გამარჯვებისა, რომელიც იმპერის უპირველეს სურვილს შეადგენს. მაგრამ სახელმწიფო დახმარება თუნდაც მოვიდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით საზოგადოება განზედ უნდა დედგეს და უცადოს როდის მოვა იგი. საზოგადოება მოვალეა თვით ჩაერიოს ამ საქმეში და საკუთარის თაოსნობით აწარმოვოს დიდი საქმე დამშეულ ხალხის გამოკვებისა.

ДИДИ МТАВАРИ ДА ХАРТУЛИ ПРЕССА.

დიდი მთავრისა—მეფის მოადგილის ნიკოლოზ-ნიკოლოზის ძის თფილისში ჩამოსვლის გამო „საქართველოს“ სწერს.

დღეს უფრო ორიგინალ პოლიტიკურ გარემოში უხვდება ქართველი ერი უზენესი მმართველის ჩამობრძანებას ჩვენს ქვეყანაში: ჯერ ისა რომ დიდ იმპერიის ერთა თანაცხოვრობის პრინციპის გადასინჯვა საბრუნავ საგნად გადაიქცა რუსეთის მმართველ წრეებისა და პოლიტიკურ საზოგადოებრივ აზრისა, ძნელი-ძნელ მაგრამ მაინც ჰო, სახელმწიფო კეთილდღეობის შეგნება დამცველად გამოდის იმპერიის ფარგლებში მოყოლილ ერთა ეროვნულ-უფლებრივ თვითყოფობისა და თვითარსებობის. და მერე, ამისა პირველ ისა რომ ჩვენი ქვეყნის უკანასკნელმა მმართველმა, სრულიად რუსეთის მხედრობის მთავარსარდლობის ქამს, ბრძოლის ასპარეზი ჯერთხა პოლონელი ხალხის ეროვნული უფლების აღიარებით: მან პირველმა ღაღადჰყო იგი უფლება, უუწმინდესი უფლებათა შორის, მთელი განათლებული კაცობრიობის გასაგონად. მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ჩვენი ქვეყნის ახალმა მმართველმა შეჰქმნა პრეცედენტი უუსამართლესი პოლიტიკური აქტისა, რომელსაც არ იწყნარებდა და არ იცნობდა წარსული რუსეთი და რომელიც აწინდელმა მმართველმა რუსეთმა დაკანონა კიდეც სახელმ. სათათბიროს გახსნის ისტორიულ დღეს, ივლისის ცხრამეტში. თავის ხანგრძლივ არსებობაში რუსეთმა პირველად გამოაცხადა ერის უფლების სხივი და დიდი მთავარნი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, აწინდელი უკანკალო მეფისა, ერთ-ერთ-ერთ-ერ-ერ-ერ

სარგებლობდენ. ფიქრობენ, დედის ერთად ერთ შვილებს უკანვე დააბრუნებენო.

✦ ქალაქ ქუთაისში შემოვიდა 14-21 სექტემბრამდი პურის ფქვილი 14 ვაგონი, სიმინდი 17 ვ:, მარილი 2 ვაგონი, ქვანახშირი 5 ვაგ, შეშა 7 ვაგ. ბზე—2 ვ. თივა—63 სხვა და სხვა სანოვაგე 10,087 ფუთი.

✦ ქალაქის საგუბერნიო კომისიამ შემდეგ ვაჭრებს გაუნაწილა ვაგონები: ლომაძეს 5 ვაგონი, პურის ფქვილისათვის მ. ნ. რუხაძეს 4 ვ., მარდ. კაკიტელაშვილს 5 ვ., ვ. ილია რიტინაშვილს 3 ვ. სულ 20 ვაგონი.

მარილისა და სხვა და სხვა სანოვაგესათვის 14 ვაგონი.

შორაპნის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა ყრილობა დ. ყვირილაში.

22 ენკენისთვეს დ. ყვირილაში წვრილკრედიტის ინსპექტორის ბ. გრ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით მოხდა კრება შორაპნის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლებისა. კრებას თითქმის ყველა საკრედიტო ამხანაგობის წარმომადგენელი დაესწრო. იყვნენ აგრეთვე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული პ. საყვარელიძე, თავ. გრ. დიასამიძე იოს. ქუთათელაძე, ადგილობრივი აგრონომი ბ. გედევანიშვილი, იას. გაბილაია, და სხ.

საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლებმა კრებას დაუსურათეს ხალხის აწინდელი მდგომარეობა. ეს მდგომარეობა უკვე ესლავეე ფრიად მძიმე და სულ მალე იგი აუტანელი იქნება. წარმომადგენელთა სიტყვით ადგილ-ადგილ ვენახები სულ ბოლო-მოღებულია,—ისე, რომ ერთს დოქს ღვინოს ვერ მოიწევს მთელი სოფელი, სადაც ეგრე რიგად არ წამხდარა ვაზი, იქაც მესამედი ან მეხუთედნი, თუ მოუვიდა მეევენახეს მოსავლიან წელიწადთან შედარებით, კარგი ღვთის წყალობა იქნება. სიმინდის მოსავალს ამდენათ არ მოუკლია, თუმცა სარჩო თითქმის არავის მოუვა. არ გაივლის სულ სამი-ოთხი თვე და მთელი მაზრა ულუკმოპურად დარჩება.

ამხანაგობათა წარმომადგენლების სიტყვით, სრულიად უმწეოთა რიცხვი, რომელთაც სულ ადრე და მალე აღარც საკვები ექნებათ, აღარც სათესური თითქმის 75—80% უდრის.

კრებამ საჭიროდ სცნო დაუყონებლივ შეუდგეს თადარიგს, რათა დროით მიაწოდოს ხალხს სიმინდი, პური, შაბიამანი, გოგირდი და სხ. ამისთვის კრებამ აირჩია დროებითი ბიურო, რომელსაც მიანდო, კრების დადგენილებათა აღსრულება. მრავალ დადგენილებათა შორის აღვნიშნავთ ზოგიერთს.

დაარსდეს შორაპნის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირი; მიენდოს ბიუროს შეიძინოს 300,000 ფუთი სიმინდი და 5,000 ფუთი პური პირველ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ; მანვე შეიძინოს ინგლისში მოსკოვის სახალხო ბანკის შემწეობით შაბიაბანი და გოგირდი; აღიძრას შამდგომლობა, სადაც ჯერ არს: სათა ამხანაგობათ მიეცესთ ხალხის დაახმარებლად საკმაო თანხა და სასურსათო კაპიტალებიდან, მათვე მიეცესთ თანხა საშუამავლო ოპერაციების საწარმოებლად, ნება დაერთოსთ გასცენ გრძელვადიანი სესხი, დავალიანებულ ამხანაგებს მიეცესთ შეღავათი ვალის გადახდაში, სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება გადმოტანილ იქნას ქუთაისში, საათაბიროში წარგენილი კანონ-პროექტი კოოპერაციის შესახებ მალე იქნას განხილული და დამტკიცებული უცვლელად; შემოღებულ იქნას ქუთაის გუბერნიაში და საზოგადოთ კავკასიაში ერობა, გახსნილ იქნას დ. ყვირილაში სამეურნეო საწავლებელი, მაზრის სხვადასხვა ადგილს გამართულ იქნას სანერგეები, საცდელი მინდვრები და სხვა, გადიდებულ იქნას რიცხვი მაზრის აგრონომთა და ინსტრუქტორთა და სხვა.

აჯარლების საქმე.

მოწინავე საზოგადოების მთელი ყურადღება ამ ჟამათ ბათუმისაკენ არის მიქცეული. იქ წყდება ბედი და სიკვდილი სიცოცხლის საკითხი ცხრა ქართველ მუსულმანისა. პასუხის გებაშია მიცემული ცხრა აჯარელი: ნური ეფენდი ბერიძე 65 წლის, მოხუცი ყოფილი ყადი, ფეგრან მეხეშიძე 52 წლის, დურსუნ ბოლქვაძე 40 წლის, ოსმან ჩაგალიძე, ახმედ ბეჟანიძე 55 წლის, იუნუს მელაძე 28 წლის, ხუსეინ ირემაძე 28 წლის, მეხტი გორგაძე 35 წლის, და მარჯან დევაძე 22 წლის. ყველა ამათ ბრალდება, რომ წასული წლის ნოემბრიდან, ვიდრე ამა წლის მარტამდი, ესე იგი იმ ხნის განმავლობაში, რა ხნის განმავლობაშიაც ბათუმის ოლქში თავასუფლად თარეშობდენ ოსმალეთის ჯარის კაცები და ჩეთნიკები, ზემოთ ჩამოთვლილი, პასუხის გებაში მიცემული პირები, განზრახ, წინასწარ მოფიქრებული გეგმით, ხელს უწყობდენ ოსმალეთის ჯარს. ამ განძრახვით ისინი თავისი ნებით შეურთდენ ოსმალეთის ჯარს და იარაღით ხელში იბრძოდენ რუსის ჯარის წინააღმდეგ გარღა ამისა დურსუნ ბოლქვაძეს, სოფელ ყადიდოღლის მცხოვრებს' ბრალათ ედება სახელმწიფო დაწესებულებათა და ქრისტიანის დუქნების გაძარცვა და ნივთების გატაცება. სამხედრო სასამართლო ამ საქმის გარჩევას შეუდგა 17 ამ თვეს. სასამართლოს თავჯდომარეობს გენ. მაიორი პოტაპოვი, ბრალდებულად არის პოდპოლკოვნიკი ავაშჩენკო. ბრალდებულებს იცავს ვექილები: თავ. მ. ფაღავა, ი. მაჭავარიანი, ევგ. გეგეჭკორი, ა. გ. მუატი, გ. ნ. ანჯაფარიძე და სახელმწიფო სამხედრო ვექილი კაპ. სახნოვსკი.

საქმის გარჩევა იწყება დილის ათის ნახევარზე მოწმეები ყველა გამოცხადდა.

თავჯდომარის ჩვეულებრივ წინასწარ შეკითხვაზე არცერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავეთ არ იცნო. დაიფიცეს როგორც მოწმეები ისე თარჯიმნები და და ამის შემდეგ პირველად დაჰკითხეს მოწმეს—ლომიანცს. ლომიანცი იმასვე იმეორებს, რაც წინად უჩვენებია გამომძიებლისათვის. მეო,—ამბობს ის ჩემი ასული (შვილი) შუშანიკა, იმიტომ მივათხოვე ცოლათ ბრალდებულ. ხუსეინ ირემაძეს, რომ მე მისი მეშინოდა არ მოვეკალიო, მაგრამ ამასვე დასძენს, რომ მისი სიძე ხუსეინი და ხუსეინის ორი ამხანაგი იუნუსა და ალია, ორივე სომხების სიძეები სომხებს დიდ დახმარებასა და მფარველობას უწევდენო.

მოწამე ლომოიანცს გამოძიების დროს უთქვამს, რომ მისი სიძე ხუსეინი, როცა მასთან, მის სახლში ცხოვროვრობდა, ის ხშირად მიდიოდა სხვადასხვა მახლობელ სოფლებში და ასრულებდა ოსმალეთა ჩეთნიკების უფროსის ზაბიტ-ბეგის ბრძანებას. სასამართლოს თავჯდომარე და ბრალდებულთა დამცველები შეკითხვას აძლევენ ლომოიანცს და ცდილობენ გაიგონ, თუ საიდან იცის მან (ლომოიანცმა), რომ მისი სიძე ხუსეინი ჩეთნიკების რაზმში იყო. ეკითხებიან პირადათ იცნობდა, თუ არა ის ჩეთნიკების უფროს და სხვა. მოწამე უპასუხებს, რომ ხუსეინი, ალი და მარჯანი, რომ იყვნენ ჩეთნიკების რაზმში, ეს იმან იქიდან იცის, რომ ზემოთ დასახელებულ ბრალდებულებთ ჰქონდათ გერმანელი ყაიდის თოფები. ზაბიტ ბეგი მოწმეს მხოლოდ ერთხელ უნახავს, მაშინ, როცა მას გაუვლია მოწმის სოფელზე. ზაბიტ-ბეგის ყველას ეშინოდა და ყველა მას ემორჩილებოდაო. დამცველი ფაღავა ეკითხება მოწმეს, რომ ხუსეინი ჩეთნიკებისაგან იცავდა თუ არა სომხებსაო. მოწამე უპასუხებს, იცავდაო. ვექილი გ. ანჯაფარიძე ეკითხება მოწამე ლომოიანცს, თუ როგორც მოიქცენ ბრალდებულები: ხუსეინი, ალი, იუნუს და მარჯანი მაშინ, როცა მათი სოფელი რუსის ჯარმა დაიბრუნა, დარჩნენ ისინი სოფელში თუ გაიქცენ. მოწამე უპასუხებს, რომ დარჩნენ და რუსის ჯარის უფროს დახმარებას უჩენდნენ.

ლომიანცის შემდეგ ეკითხებიან მის ასულს შუშანიკას. ის ამბობს: ხუსეინს მივთხოვდი იმისთვის, რომ გადამერჩინა მშობლებიო. ვექილი ევგენი გეგეჭკორი ეკითხება ბრალდებულ ხუსეინს (შუშანიკას ქმარს) გინდოდა თუ არა მიგეღო ქრისტიანობაო. ბრალდებული უპასუხებს—დიახ, და ახლაც მზათ ვარ გავქრისტიანდეო. ესევე ბრალდებული ბრალმდებელს შეკითხვაზე უპასუხებს და ჩამოუთვლის ბევრს მაგალითს იმისას, რომ მან და მისმა ამხანაგებმა: ალიმ, იუნუსმა და მარჯანმა ჩეთნიკებისაგან იხსნეს სომხები. ჩვენ ხშირათ ვატყუებდით ჩეთნიკებს და მით სიცოცხლეს ვარჩენდით სომხებსო, ამბობს ის და მოყავს მაგალითები. მოწმე ტირუნ სტეპანიანცი ბრალდებული ალის ხასა, აჩვენებს, რომ ის მისთხოვდა ალის ხუსეინის შიშით, რომელიც ემუქრებოდა მას, თუ არ მისთხოვდები ალის, მშობლებს მოგიკლავთო. წინასწარ გამოძიების დროს ამავე მოწმეს უჩვენებია, რომ მას ალი ეუბნებოდა—მე ვეშველები ჩეთნიკებს რუსების წინააღმდეგო. ახლა მოწამე ამბობს, რომ არ მახსოვს ეს ასე იყო თუ არაო. ხსენებული მოწმის მამა ზაქიოს ბუოხლიანი თავის ასულის ჩვენებას დასძენს, რომ მათ სოფელ ოქრობაკეთში გარდა ალისა და ხუსეინისა სხვა ჩეთნიკები არ იყო. ესენი კი 3—4 დღით სოფლიდან მიდიოდენ, მაგრამ სად და რისთვის მოწმემ ეგ არ იცის. მოწმემ იცის ის, რომ ალი და სხვა ბრალდებულები სოფელ ოქრობაქედს იფარავდენ ჩეთნიკების განადგურებისაგან. ჩეთნიკები კი ამ სოფელში ხშირათ რჩებოდენ 30—40—50 კაცი, მაგრამ ალისა და ხუსეინს მათთან საქმე არ ჰქონიათ. დამცველი ევ. გეგეჭკორი ეკითხება მოწმეს:

— თქვენ იმისათვის ხომ არ მიათხოვეთ ქალი ალის, რომ ის მუსულმანი იყო და იმედი გქონდათ დაგიფარავდათ მუსულმან ჩეთნიკებისაგან? მოწმე:

— მე მეშინოდა და მხოლოდ ამიტომ დავიმოყვრე ალი. დამცველი ფაღავა:

— როცა თქვენ სოფელში რუსის ჯარი შემოვიდა და ჩეთნიკები დაატყვევეს, მაშინ რატომ არ დაიჭირეს ალი და ხუსეინი. მოწმე:

— ეს კაცზე მეტმა სომეხმა განაჩენი დადგინა, რომელშიაც მოიხსენიეს, რომ ალი და ხუსეინი სოფლის გადამრჩენელი იყვენ.

თავჯდომარის შეკითხვაზე მოწმე ამბობს, რომ ჩეთნიკების შემოსვლამდე ადგილობრივი მუსულმანები არასოდეს არ თხოულობდენ ცოლათ სომხის ქალებს.

მოწმე ჩილაიანი უჩვენებს, რომ მანპირველათ ნახა ბრალდებულები იუნუსი, ხუსეინი და ალი ჩეთნიკებთან, როცა მათ სოფელს შეუმოესია ზაბიტ ბეგი. თავისი რაზმით. დამცველი მუატი მოწმეს უმტკიცებს, რომ ის მაშინ სახლში იმალებოდა და მაშასადამე არც შეეძლო ჩეთნიკებთა შორის დაენახა და ეცნო ბრალდებულები.

მოწმე ტერ-პოღოსიანს გამომძიებლისთვის უთქვამს, რომ იუნუსი, ალი და ხუსეინი ჩეთნიკებთან ერთად ებრძოდენ რუსებს სახიროსთან და იქიდან დაცლილი პატრონებით დაბრუნდენ. ბრალმდებელის შეკითხვაზე უპასუხებს, რომ ეს მას არ უნახავს მაგრამ, გაუგონია სხვისაგან. ვექ. მუატი ეკითხება მოწმეს, რომ თავის თვალით ნახა თუ არა, ბრალმდებულები შეიარაღებული. მეწმე პოღოსიანცი სდუმს.

ვექილი ევ. გეგეჭკორი: სომხებსა და მუსულმანთ შორის მიწის კითხვის გამო ხომ არ გამწვავებულა მდგომარეობა?

სომხებს ხომ არ აღუძრავს შუამდგომლობა და ხომ არ უთხოვნიათ გარდახვეწილი მუსულმანების მიწა ჩვენ მოგვეცითო? მოწმე უპასუხებს, რომ ჩეთნიკების შემოსვლამდი ჩვენ კეთილი მეზობლობა გვქონდა. შუამდგომლობის შესახებ მე არაფერი ვიცი.

მოწმე ბარსელიანი ამბობს, რომ ბრალდებული მარჯან დევაძე ჩეთნიკებში ერია და სახიროსთან რუსის ჯარს ებრძოდა. დამცველი მუატის შეკითხვაზე ის უპასუხებს, რომ მას თავის თვალით არ უნახავს (დამალული ვიყავიო), მაგრამ ეს გაუგონია თვით მარჯანისაგან. დამცველი ი. მაჭავარიანი ეკითხება მოწმეს, თუ რათ არ გასცეს მარჯანი და არ ჩაბარეს რუსებს, როგორ მოღალატე. მოწმე ამბობს ჩეთნიკების გვეშინოდაო 17 სექტემბერს სხდომა ამით შეწყდა მეორე დღემდი. („ბ. დ".

საზიზღარი მკვლელობა.

სოფ. სალხინო ქვემო იმერეთი.

14 სექტემბერს ადგილობრივ მცხოვრებს, სარდიონ ლოთქიფანიძეს, სტუმრები ეწვივნენ. მასპინძელმა სტუმრები პატივცემით მიიღო. მაგრამ 79 წლის და 80 წ. ღრმა მოხუცებულებს როგორც ეს ლორთქიფანიძე და მისი მეუღლე იყო ყაჩღებმა არ შეიწყნარეს; და როდესაც ვახშამი გაათავეს საერთოდ; იმ დროს ერთმა ბოროტთაგანმა გადიხსნა "ტუჭურკა" და თოფი ფეხზე შემარხა, დაუყვირა ჩქარა ფულები მოგვეცითო. მოხუცებულებმა ტკბილი სიტყვებით მიმართეს ავაზაკებს მიაწოდეს 150 მანეთი, კიდევ დაპირდნენ 500 მანეთს რომ მათთვის სული ძალათ არ ამოეძროთ. მაგრამ, ყაჩაღების სასტიკმა ბოროტებამ სისხლის წყურვილმა არ დაინდო 80 წლის მოხუცებულები გადაამბეს ბაწრით ერთი მეორეს და პირველათ სარდიონ ლოორთქიფანიძეს დაახალეს ტყვია შუბლში მოკლეს, აწამეს და შემდეგ მის მეუღლეს ტყვიამ მკერდი გაუბო, მარჯვენა ფეხი მოსტეხეს და წუთი სოფელს ისიც მალე გამოასალმეს.—

თოფების სროლის ხმა მთელს სოფელს სალხინოს სწრაფათ მოეედო დამით; მაგრამ ხალხი მეორე დილამდე მათ სახლს შიშით ვერ მიუახლოვდა.

გათენდა დილა თუ არა, საზიზღარი სანახავი იყო სისხლში მოსვრილი ორი ადამიანის დასახიჩრებული გვამი, სახლის იატაკი და ჭერი სისხლით შეღებილი იყო და ზოგ ალაგას ხორცის ნაფლეთები ეყარა.

საჭიროა სასტიკი გამოძიება და ავაზაკების ადმოჩენა, თორემ მოსვენება აღარავის ექნება.

ილ. ნიჟარაძე.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. სალხინო ზანის საზ. (ქ. მაზრა). სოფელი სალხინო მოშორებულია ქ. ქუთაისს 30 ვერსით. უკზოოზით მცხოვრებლები ძლიერ გაჭირვებულნი არიან. მიმოსვლა ქუთაისსა და ამ სოფელს შუა შეიძლება მხოლოდ ფეხით. საურმე გზა წვრევანდელმა ნიაღვრებმა ისე გააფუჭა, რომ ფეხით მოსიარულე კაცსაც კი უჭირს ამ დახრამულ გზაზე სიარული. უმრავლესობა მცხოვრებლებისა გლეხობაა უმცირესობა კი თავადაზნაურობა.

ამ სოფელში არსებობს, არის ერთად ერთი ორ კლასიანი სავაჟო და საქალო სასწავლებელი, რომელშიც არიან მოსწავლენი.

შუა გაშლილ სოფელში მიმდინარეობს მშვენიერი წყალი მდ. სულ ორი; რომელიც საამური სანახავია როცა პატარაა და დაწმენდილი. მხოლოდ როცა მოიმატებს და კალაპოტიდან გადმოვა ხოლმე, რასაც კი შეხვდება გაუნადგურებელს არ დასტოვებს.

ბევრი ადამიანიც იმსხვერპლა ამ მდინარემ. დიდხანს იყვნენ შეწუხებულნი მცხოვრებლები უხიდობით, მაგრამ სულ ერთი წელიწადია რაც ამ წყალზე ხიდი გაკეთდა და ახლა მასზე მიმოსვლა ყოველს დროს შეიძლება უშიშრად.

ხალხი დიდი გულმოდგინებით ადევნებს თვალყურს ომის ამბებს, ქართულ გაზეთების კითხვა მოწყურებული აქვს, ოღონ რამ სავალალო ის არის, რომ გაზეთი თავის დროზე არ მოდის [illegible] სულ არა, გაზეთები მიდის ჯერ დ. სამტრედიაშიდ ფოსტით, და მერმე იქიდან უნდა დარიგდეს სოფლებში, მაგრამ ამაოთ: ზოგი იქ იკარგება და ზოგიც გზაშიდ.

აქაური მცხოვრებნი უმთავრესად მიზდევენ სიმინდის და ბამბის მოყვანას. წრევანდელმა წელმა მცხოვრებნი ხელ ცარიელი დასტოვა შარშანდელ მოუსავლობას. წრევანდელიც ზედ დაერთო რის გამო მცხოვრებნი დიდ განსაცდელში არიან ჩაცვივნული. საჭიროა რომ მცხოვრებლები აქიდანვე შეუდგენენ თადარიგს. შიმშილისაგან გამოწვეულნი უბედურებანი თავიდან დროით აიცდინონ.

მას მ. ლ—ძე.

ანგარიში

ქართ. შ. წ. კ. კამკვრტელებელ საზ. სენაკის გვნოოფილების სასარგებლოდ გამართულ სახალხო სეირნობისა.

წელს „პეტრე-პავლობის" ტრადიციული სეირნობა წ. კ. საზ. სენაკის კან. კამგეობამ სხვადასხვა სპეტაკლი მიზეზით 29 ივნისის ნაცვლად, 26 ივლისს გამართა. საერთო შემოსავალი იყო 631 მ. და 15 შ., ბადში შესასვლელი ბილეთების—121 მ. და 71 კ., ფეხლად შემოწირული სხვადასხვა პირისაგან 57 მ. და 10 შ., ვახშმისა და ბუფეტის—263 მ. 11 კ., ფოსტის—13 მ. და 76 კ. „რგოდება"—75 მ. 69 კ., ანკესის—8 მ. და 54 კაპ., ბურთით მიზანში სროლის—17 მ. და 5 შ., ბედის ჯოჯის—8 მ. და 2 შ., ბედის კლიტის—40 მ. და 2 შ., ეკვილების—22 მ. და 64 კ., სახედრის—3 მ. და 2 აბ. სულ 631 მ. და 15 შ.

დახარჯა: ფეიშებზე, ბილეთებზე, კონფეტებზე—5 მ. და 5 შ., გერბის მარკების ბილეთებისთვის 9 მ. და 98 კ., მუსიკის—40 მ., ვახშმზე, ბუფეტზე და შამპანიურზე—125 მ. და 62 კ., ბადის მორთვა, გაჩირდღნება და სხვა წვრილმანი ხარჯები—29 მ. და 11 შ. სულ დახარჯა 210 მ. და 2 აბ. წმინდა შემოსავალი დარჩა 421 მ. და 7 შაური.

საზ. სენაკის გვნოოფილების კამგეობა უდრმეს მადლობას სწირავს, როგორც ფულით და ნივთიერთა შემომწირველთ, აგრეთვე ეფლას, ვინც პირადი შრომით მონაწილეობა მიიღო სეირნობის მოწყობაში. **კამგეობა.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბორინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სასაზინო ბალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—13

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია: „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია", შედგენილი ს. რ. გოგრეაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

რიმლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საუმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან